

# კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №12  
2024 წლის 19 ივლისი

ქ. კასპი

„კასპის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 15 დეკემბრის №30 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „დ.“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე და საქართველოს ორგანული კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

## მუხლი 1

„კასპის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 15 დეკემბრის №30 დადგენილებით ([www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge), 18/12/2023, 190020020.35.149.016518) დამტკიცებული დანართი №1, შეიცვალოს ახალი დანართი №1-ით.

## მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

კასპის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე

შოთა ბეგლარაშვილი

დანართი №1

## კასპის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტი

თავი I. კასპის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებელი

### მუხლი 1. ბიუჯეტის ბალანსი

ბიუჯეტის ბალანსი განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

დასახელება	2022 წლის ფაქტი	2023 წლის გეგმა			2024 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
I. შემოსავლები	27432.7	31065.4	23069.0	7996.4	36640.0	26319.0	10321.0
გადასახადები	17613.7	20164.0	20164.0		23823.9	23823.9	
გრანტები	7225.3	7996.4		7996.4	10321.0		10321.0
სხვა შემოსავლები	2593.7	2905.0	2905.0		2495.1	2495.1	
II. ხარჯები	14891.8	18184.8	17294.8	890.0	21212.7	20266.7	946.0
შრომის ანაზღაურება	2272.2	2614.0	2504.0	110.0	3030.0	3030.0	
საქონელი და							



მომსახურება	2030.0	2986.0	2420.0	566.0	3946.3	3271.0	675.3
პროცენტი	89.8	100.0	100.0	-	65.0	65.0	-
სუბსიდიები	8735.6	10254.0	10040.0	214.0	11927.7	11657.0	270.7
გრანტი	148.9	197.6	197.6		200.0	200.0	
სოციალური უზრუნველყოფა	1183.5	1520.2	1520.2	1.0	1531.7	1531.7	-
სხვა ხარჯები	431.8	513.0	513.0	-	512.0	512.0	
<b>III. საოპერაციო საღირსე</b>	<b>12540.9</b>	<b>12880.6</b>	<b>5774.2</b>	<b>7106.4</b>	<b>15427.3</b>	<b>6052.3</b>	<b>9375.0</b>
<b>IV. არაფინანსური აქტივების ცვლილება</b>	<b>11041.0</b>	<b>17934.1</b>	<b>10055.2</b>	<b>7878.9</b>	<b>20880.0</b>	<b>11418.8</b>	<b>9461.2</b>
ზრდა	12334.3	18434.1	10555.2	7878.9	21180.0	11718.8	9461.2
კლება	1293.3	500,0	500,0	-	300,0	300,0	-
<b>V. მთლიანი საღირსე</b>	<b>1499.9</b>	<b>3908.3</b>	<b>3200.8</b>	<b>707.5</b>	<b>5452.7</b>	<b>5366.5</b>	<b>86.2</b>
<b>VI. ფინანსური აქტივების ცვლილება</b>	<b>1270.5</b>	<b>5053.5</b>	<b>4281.0</b>	<b>772.5</b>	<b>5737.7</b>	<b>5651.5</b>	<b>86.2</b>
კლება		5353.5	4581.0	772.5	5737.7	5651.5	86.2
ვალუტა და დეპოზიტები		5353.5	4581.0	772.5	5737.7	5651.5	86.2
კლება	-	-	-	-	-	-	-
ვალუტა და დეპოზიტები	-	5353.5	4581.0	772.5	-	-	-
<b>VII. ვალდებულებების ცვლილება</b>	<b>229.4</b>	<b>300.0</b>	<b>300.0</b>	<b>-</b>	<b>285.0</b>	<b>285.0</b>	<b>-</b>
კლება	229.4	300.0	300.0	-	285.0	285.0	-
საშინაო	229.4	300.0	300.0	-	285.0	285.0	-
სესხები	229.4	300.0	300.0	-	285.0	285.0	-
<b>VIII. ბალანსი</b>	<b>- 0.0</b>	<b>- 0.0</b>	<b>-</b>	<b>-</b>	<b>- 0.0</b>	<b>-</b>	<b>-</b>

მუხლი 2. ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება



ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათასი ლარი

დასახელება	2022 წლის ფაქტი	2022 წლის გეგმა			2024 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
შემოსულობები	28726.0	31565.4	23569.0	7996.4	36940.0	26619.0	10321
შემოსავლები	27432.7	31065.4	23069.0	7996.4	36640.0	26319.0	10321.0
არაფინანსური აქტივების კლება	1293.3	500.0	500.0		300.0	300.0	
გადასახდელები	27455.5	36918.9	28150.0	8768.9	42677.7	32270.5	10407.2
ხარჯები	14891.8	18184.8	17294.8	890.0	21212.7	20266.7	946.0
არაფინანსური აქტივების ზრდა	12334.3	18434.1	10555.2	7878.9	21180.0	11718.8	9461.2
ვალდებულებების კლება	229.4	300.0	300.0	-	285.0	285.0	-
ნაშთის ცვლილება	1270.5	5353.5	4581.0	772.5	5737.7	5651.5	86.2

### მუხლი 3. ბიუჯეტის შემოსავლები

ბიუჯეტის შემოსავლები განისაზღვროს 36640.0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

შემოსავლის სახეები	2022 წლის ფაქტი	2023 წლის გეგმა	2024 წლის გეგმა
შემოსავლები	27432.7	31065.4	36640.0
გადასახდელები	17613.7	20164.0	23823.9
გრანტები	7225.3	7996.4	10321.0
სხვა შემოსავლები	2593.7	2905.0	2495.1

### მუხლი 4. ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები

ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები განისაზღვროს 23823.9 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

შემოსავლის სახეები	2022 წლის ფაქტი	2023 წლის გეგმა	2024 წლის გეგმა
გადასახადები, მათ შორის:	17613.7	20164.0	23823.9
საშემოსავლო გადასახადი			



დამატებითი ღირებულების გადასახადი	11611.5	14364.0	18023.9
ქონების გადასახადი	6002.2	5800.0	5800.0
საწარმოთა ქონებაზე	4922.2	5090.0	5090.0
ფიზიკურ პირთა ქონებაზე	38.3	10.0	10.0
სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	416.1	300.0	300.0
არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	625.6	400.0	400.0

## მუხლი 5. ბიუჯეტის გრანტები (ტრანსფერები)

ბიუჯეტის შემოსავლები გრანტებიდან განისაზღვროს 10321.0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

შემოსავლის სახეები	2022 წლის ფაქტი	2023 წლის გეგმა	2024 წლის გეგმა
გრანტები (ტრანსფერები), მათ შორის:	7225.3	7996.4	10321.0
საერთაშორისო ორგანიზაციებიდან			
გრანტები (ტრანსფერები) სახელმწიფო ბიუჯეტიდან:	7225.3	7996.4	10321.0
გათანაბრებითი ტრანსფერი			
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების სათვის	535.6	1007.0	946.0
კაპიტალური ტრანსფერი რეგიონალური ფონდიდან	6689.7	6039.4	7595.0
სპეციალური ტრანსფერი; მათ შორის:			1780.0
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა		950.0	950.0
სხვა სპეციალური ტრანსფერები			830.0

## მუხლი 6. ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

ბიუჯეტის სხვა შემოსავლები განისაზღვროს 2495,1 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

შემოსავლის სახეები	2022 წლის ფაქტი	2023 წლის გეგმა	2024 წლის გეგმა
სხვა შემოსავლები, მათ შორის:	2593.7	2905.0	2495.1
შემოსავლები საკუთრებიდან	903.9	917.8	639.9
პროცენტები	476.2	477.9	200.0
რენტა	427.7	439.9	439.9
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	427.7	435.0	435.0



შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში გადაცემიდან		4,9	4,9
<b>საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია</b>	<b>229.6</b>	<b>185.2</b>	<b>185.2</b>
<b>ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები</b>	<b>207.6</b>	<b>180,2</b>	<b>180,2</b>
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი		0.2	0.2
მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისთვის	132.3	130.0	130.0
სანებართვო მოსაკრებელი	75.3	50,0	50,0
<b>არა საბაზრო დაწესებულების მიერ განხორციელებული გაყიდვები</b>	<b>22.0</b>	<b>5.0</b>	<b>5.0</b>
შემოსავალი მომსახურების გაწევიდან	22.0	5.0	5.0
<b>სანქციები, ჯარიმები და საურავები</b>	<b>1380.6</b>	<b>1697.0</b>	<b>1600.0</b>
შემოსავალი საგზაო მოძრაობის წესების დარღვევის გამო	1380.6	1600.0	1500.0
სხვა შემოსავლები სანქციებიდან, ჯარიმებიდან და საურავებიდან		97.0	100.0
<b>შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები</b>	<b>79.6</b>	<b>105.0</b>	<b>70.0</b>
შემოსავალი ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოდან	79.6	105.0	70.0
წინა წელს გამოუყენებული და დაბრუნებული საბიუჯეტო სახსრები			

## მუხლი 7. ბიუჯეტის ხარჯები

ბიუჯეტის ხარჯები განისაზღვროს 21212.7 ლარის ოდენობით. მათ შორის:

ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციით	2022 წლის ფაქტი	2023 წლის გეგმა			2024 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
<b>ხარჯები</b>	<b>14891.8</b>	<b>18184.8</b>	<b>17294.8</b>	<b>890.0</b>	<b>21212.7</b>	<b>20266.7</b>	<b>946.0</b>
შრომის ანაზღაურება	2272.2	2614.0	2514.0	100,0	3030.0	3030.0	-
საქონელი და მომსახურება	2030.0	2986.0	2420.0	566.0	3946.3	3271.0	675.3
პროცენტები	89.8	100,0	100,0	-	65.0	65.0	-
სუბსიდიები	8735.6	10254.0	10040.0	214.0	11927.7	11657.0	270.7
გრანტები	148.9	197.6	197.6	-	200.0	200.0	-
სოციალური უზრუნველყოფა	1183.5	1520.2	1520.2	-	1531.7	1531.7	-
სხვა ხარჯები	431.8	513.0	513.0	-	512.0	512.0	-



## მუხლი 8. ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვროს 20880.0 ათასი ლარით, მათ შორის: არაფინანსური აქტივების ზრდა 21180.0 ათასი ლარით, არაფინანსური აქტივების კლება 300,0 ათასი ლარის ოდენობით:

პროგ. კოდი	არაფინანსური აქტივების ზრდა პროგრამების მიხედვით	2022 წლის ფაქტი	2023 წლის გეგმა	2024 წლის გეგმა
<b>01 00</b>	<b>მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები</b>	<b>123.5</b>	<b>160.0</b>	<b>474.9</b>
01 01	საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა	123.5	160.0	474.9
<b>02 00</b>	<b>ინფრასტრუქტურის განვითარება</b>	<b>10391.3</b>	<b>14992.0</b>	<b>17727.4</b>
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	7177.2	9276.0	8775.2
02 02	წყლის სისტემების განვითარება	931.1	1537.3	2423.3
02 03	გარე განათება	242.7	-	250.0
02 06	კეთილმოწყობის ღონისძიებები	450.6	1262.4	2014.0
02 07	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	1301.4	1855.6	1991.2
02 08	სარწყავი არხებისა და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	-	-	-
02 09	საპროექტო სამუშაოებისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურების ხარჯები	288.3	1060.7	1273.7
02 10	საკანალიზაციო სისტემის მოწყობა და რეაბილიტაცია			1000.0
<b>02 08 03</b>	<b>ფასადების და სხვა შენობა ნაგებობების მშენებლობა-რეაბილიტაცია</b>			<b>1546,0</b>
<b>03 00</b>	<b>დასუფთავება და გარემოს დაცვა</b>	<b>522.6</b>	<b>798.0</b>	<b>861.0</b>
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა		-	-
03 03	უპატრონო ცხოველთა მოვლითი ღონისძიებები	-	-	-
03 05	კაპიტალური დაბანდება დასუფთავების სფეროში	522.6	580.0	861.0
<b>04 00</b>	<b>განათლება</b>	<b>907.4</b>	<b>573.5</b>	<b>225.0</b>
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ხელშეწყობა	82.4	210.0	210.0
04 02	სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია მშენებლობა	735.7	246.5	15.0
04 03	ზოგადი განათლების (საჯარო სკოლების) ხელშეწყობა	89.3	117.0	-
<b>05 00</b>	<b>კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი</b>	<b>388.2</b>	<b>1910.6</b>	<b>1891.7</b>
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	381.2	1003.8	1098.0
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	7.0	906.8	793.7
<b>06 00</b>	<b>ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა</b>	<b>1.3</b>	<b>-</b>	<b>-</b>



06 01	ჯანმრთელობის დაცვა	1.3	-	-
	<b>არაფინანსური აქტივების ზრდა, ჯამი</b>	<b>12334.3</b>	<b>18434.1</b>	<b>21180.0</b>

არაფინანსური აქტივების კლება სახეების მიხედვით	2022 წლის ფაქტი	2023 წლის გეგმა	2024 წლის გეგმა
არაფინანსური აქტივების კლება, ჯამი	1182.2	500.0	300.0
ძირითადი აქტივები	1182.2	500.0	300.0
არაწარმოებული აქტივები			

## მუხლი 9. ბიუჯეტის ხარჯების და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია

ბიუჯეტის ხარჯები და არაფინანსური აქტივები ფუნქციონალურ ჭრილში განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2022 წლის ფაქტი	2023 წლის გეგმა	2024 წლის გეგმა
7.1	<b>საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება</b>	<b>3384.3</b>	<b>4255.0</b>	<b>5342.5</b>
7.1.1	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	3291.2	4155.0	5277.5
7.1.1.1	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	3291.2	4005.0	5127.5
7.1.1.2	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა		150.0	150.0
7.1.6	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	93.1	100.0	65.0
7.2	<b>თავდაცვა</b>	<b>122.6</b>	<b>156.0</b>	<b>-</b>
7.2.2	სამოქალაქო თავდაცვა	122.6	156.0	-
7.4	<b>ეკონომიკური საქმიანობა</b>	<b>7201.0</b>	<b>9376.0</b>	<b>9075.2</b>
7.4.5	ტრანსპორტი	7201.0	9376.0	9075.2
7.4.5.1	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	7201.0	9376.0	9075.2
7.5	<b>გარემოს დაცვა</b>	<b>2232.0</b>	<b>2069.0</b>	<b>3102.1</b>
7.5.1	ნარჩენების შეგროვება გადამუშავება და განადგურება	2232.0	2069.0	3102.1
7.6	<b>საბინაო კომუნალური მეურნეობა</b>	<b>4652.1</b>	<b>7622.0</b>	<b>11271.2</b>
7.6.1	ბინათმშენებლობა	127.0	200.0	229.0
7.6.2	კომუნალური მეურნეობის განვითარება	2047.0	4176.7	6278.9



7.6 3	წყალმომარაგება	1759.9	2617.3	3627.3
7.6 4	გარე განათება	717.9	626.0	1136.0
7.7	<b>ჯანმრთელობის დაცვა</b>	<b>177.6</b>	<b>214.0</b>	<b>320.7</b>
7.7 4	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	177.6	214.0	320.7
7.7 6	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში	-	-	-
7.8	<b>დასვენება, კულტურა და რელიგია</b>	<b>3686.0</b>	<b>5751.6</b>	<b>6385.9</b>
7.8 1	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	1880.3	2753.8	3043.4
7.8 2	მომსახურება კულტურის სფეროში	1755.7	2917.8	3222.5
7.8 4	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	50.0	80.0	120.0
7.9	<b>განათლება</b>	<b>4500.3</b>	<b>4791.5</b>	<b>5351.4</b>
7.9 1	სკოლამდელი აღზრდა	4070.3	4154.5	4676.1
7.9 2	ზოგადი განათლება	430.0	637.0	675.3
7.9 2 3	საშუალო ზოგადი განათლება	430.0	-	675.3
7 10	<b>სოციალური დაცვა</b>	<b>1270.2</b>	<b>1532.2</b>	<b>1543.7</b>
7 10 1	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დაცვა	1261.7	1512.2	1523.7
7 10 9	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	8.5	20.0	20.0
	<b>სულ</b>	<b>27226.1</b>	<b>36518.9</b>	<b>42392.7</b>

### მუხლი 10. ბიუჯეტის საოპერაციო და მთლიანი სალდო

ბიუჯეტის საოპერაციო სალდო განისაზღვროს 15427.3 ათასი ლარით, მთლიანი სალდო განისაზღვროს 5452.7 ათასი ლარით:

დასახელება	2022 წლის ფაქტი	2023 წლის გეგმა	2024 წლის გეგმა
საოპერაციო სალდო	12540.9	12880.6	15427.3
მთლიანი სალდო	1499.9	5053.5	5452.7

### მუხლი 11. ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვროს 5737.7 ლარით, მათ შორის:

დასახელება	2022 წლის ფაქტი	2023 წლის გეგმა	2024 წლის გეგმა
------------	-----------------	-----------------	-----------------





ფინანსური აქტივების ცვლილება	1270.5	5353.5	5737.7
ზრდა	1270.5	-	5737.7
ვალუტა და დეპოზიტი	1270.5	-	5737.7
კლება	-	5353.5	-
ვალუტა და დეპოზიტი	-	5353.5	-

## მუხლი 12. ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება განისაზღვროს 300,0 ათასი ლარით, მათ შორის:

დასახელება	2022 წლის ფაქტი	2023 წლის გეგმა	2024 წლის გეგმა
ვალდებულებების ცვლილება	-	300.0	285.0
კლება	-	-	-
საშინაო	-	-	-
სესხები	229.4	300.0	285.0

## თავი II. კასპის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები, პროგრამები, ქვეპროგრამები

### მუხლი 13. ინფრასტრუქტურის განვითარება

ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 20396.4 ათასი ლარი. ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2024 წლის გეგმა
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	20346.4
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	9075.2
02 02	წყლის სისტემების განვითარება	3627.3
02 02 01	წყლის სისტემების ექსპლოატაცია	1204.0
02 02 01 01	წყლის სისტემების მიერ მოხმარებული ელექტროენერჯის ღირებულება	504.0
02 02 01 02	წყლის სისტემების მოვლა პატრონობა	700.0
02 02 02	წყლის სისტემების რეაბილიტაცია	2423.3
02 03	გარე განათება	1136.0
02 03 01	გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია	1136.0



02 03 01 01	გარე განათების ქსელზე მოხმარებული ელექტროენერჯის ხარჯის ანაზღაურება	750.0
02 03 01 02	გარე განათების ქსელის მოვლა პატრონობა	136.0
02 03 02	კაპიტალური დაბანდება გარე განათების სფეროში	250.0
02 05	ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება	229.0
02 06	კეთილმოწყობის ღონისძიებები	2014.0
02 06 01	ბაღების და სკვერების მოვლა	428.0
02 06 02	მგზავრთა მისაცდელის მოვლა შენახვა	40.0
02 06 03	ფსადების და სხვა ნაგებობების აღდგენის სამუშაოები	1546.0
02 07	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	1991.2
02 08	სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა რეაბილიტაცია ექსპლოატაცია	-
02 09	საპროექტო სამუშაოებისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურების ხარჯი	1273.7
02 10	საკანალიზაციო სისტემის მოწყობა და რეაბილიტაცია	1000.0

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	გზების მოვლა-შენახვა და მიმდინარე შეკეთება	დაფინანსება ათას ლარში
	02 01		300.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა	საგზაო ინფრასტრუქტურის ექსპლოატაციის, მოვლა-შენახვის სამუშაოები კასპის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ყოველწლიურად მიმდინარეობს. სამუშაოები მოიცავს ასფალტირებული ქუჩების დაზიანებული მონაკვეთების აღდგენა- რეაბილიტაციას (მათ შორის, ბზარების შევსებას ბითუმით ან ემულსით, ე.წ. ორმული შეკეთებას, ნაგებობების ცალკეული ელემენტების შეკეთებას,ლითონის ცხურების, თვალამრიდების და სხვა საგზაო ელემენტების გასწორებას, გზისპირა კიუვეტების და მილების გაწმენდას, სიჩქარის შემანელებელი ბორცვების მოწყობას); არასფალტირებული ქუჩების გრუნტის საფარის მოსწორებას და მოხრეშვა-მოშანდაკებას. წლის განმავლობაში საშუალოდ ხორციელდება 507 კვ/მ გზის მიმდინარე შეკეთება; სამუშაოები განხორციელდება საგზაო ინფრასტრუქტურის იმ მონაკვეთებზე, რომლებზეც მოხდა ტექნიკური დათვალიერება და მოცულობების დადგენა, ან წლის განმავლობაში გამოიკვეთება სამუშაოების შესრულების აუცილებლობა		
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	კასპის მუნიციპალიტეტში გზებს ჩაუტარება მიმდინარე შეკეთება (ორმული სამუშაოები, მოხრეშვა). შესრულებული სამუშაოები უსაფრთხოს გახდის ამ გზებზე გადაადგილებას.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	გზების კაპიტალური შეკეთება	დაფინანსება ათას ლარში
	02 01		8775.2
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახური		



სამსახური	
ქვეპროგრამის აღწერა	1. ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია კასპის მუნიციპალიტეტში არსებული დაზიანებული და ამორტიზირებული გზების კაპიტალური შეკეთება/რეაბილიტაცია. კერძოდ ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია პროექტების განხორციელება, რომელიც ითვალისწინებს ქ.კასპსა და კასპის მუნიციპალიტეტის სოფლებში სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელებისთვის "რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან" გამოყოფილი თანხებით და ადგილობრივ ბიუჯეტით თანადაფინანსებას;
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	მოსახლეობის უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილება; მგზავრთა გადაადგილების დროის შემცირება; ავტოსატრანსპორტო საშუალებების ცვეთის შემცირება; ტურიზმის ხელშეწყობა; მოსახლეობის სოციალურ ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება;

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	წყლის სისტემის მიერ მოხმარებული ელექტროენერჯის ხარჯი	დაფინანსება ათას ლარში
	02 02 01 01		504.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	<b>საფინანსო სამსახური</b>		
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამათვის გათვალისწინებული ასიგნებები ხმარდება კასპის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, სოფლებში: მირიანი, ოკამი, კოდისწყარო, ნიგოზა, ჩობალაური, ლამისყანა, ქვემო რენე, ზემო რენე.ყარაფილა-სარიბარი-ზადიანთკარის, სამთავისი, ბოჟამი, ქვემო ჭალა საკორინთლო-ახალშენა, განთავსებული წყლის სისტემების 13 ტუმბო მიერ მოხმარებული ელექტროენერჯის ხარჯების ანაზღაურებას.		
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტში არსებული წყლის ყველა სატუმბი მოწყობილობების მიერ მოხმარებული ელექტროენერჯის ხარჯის ანაზღაურება; კასპის მოსახლეობის უზრუნველყოფა 24 საათიანი სასმელი წყლით		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	წყლის სისტემების მოვლა-პატრონობა	დაფინანსება ათას ლარში
	02 02 02 02		700.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	<b>შ.პ.ს. "სოფლის წყალი"</b>		
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამა ითვალისწინებს კასპის მუნიციპალიტეტის 67 სოფელში ადგილობრივი დანიშნულების წყალმომარაგების იმ ქსელების გამართულ და შეუფერხებელ ფუნქციონირების უზრუნველყოფას, რომლებიც არ შედის შ.პ.ს. "გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის" კასპის სერვისცენტრის მართვის ქვეშ. ასევე საჯარო სკოლების და ამბულატორიების წყალმომარაგების ქსელების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარების უზრუნველყოფას. სოფლებში გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული დაზიანებული ადგილების სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელებას და სამარაგო რეზერვუარებისა და წყალსადენის სისტემების ქსელების ქლორირების საქმიანობების ჩატარებას, სანიტარული ზონების მოწყობას, ასევე შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადებას, რაც მიზნად ისახავს სოფლის მოსახლეობის, ასევე ვიზიტორების უწყვეტ რეჟიმში ხარისხიანი სასმელი წყლით მომარაგებას.		
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	კასპის მუნიციპალიტეტის სოფლებში წყალმომარაგების გამართული ქსელის შენარჩუნება და მოსახლეობის უზრუნველყოფა ხარისხიანი სასმელი წყლით		



ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	წყლის სისტემების რეაბილიტაცია	დაფინანსება ათას ლარში
	02 02 02		2423.3
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული წყალმომარაგების ქსელის (მათ შორის, წყლის სათავე ნაგებობების, წყლის მაგისტრალის და სხვა) კაპიტალურ რეაბილიტაციას. საჭიროების შემთხვევაში, ასევე ხორციელდება ახალი წყალმომარაგების ქსელის მოწყობის სამუშაოები. ქვეპროგრამა უმეტესწილად ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერით. ქვეპროგრამისათვის ასევე გამოყოფილია თანხები მუნიციპალიტეტის ადგილობრივი შემოსავლებიდან. თანამონაწილეობისთვის.		
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებაში მოქმედებს ხარისხიანი სასმელი წყლის მიწოდების 24 საათიანი გრაფიკი; მუნიციპალიტეტის ყველა ოჯახს გააჩნია შეუფერხებელი წვდომა სასმელ წყალზე; მოწყობილია მაგისტრალური და შიდა ქსელები. მოწყობილია გამრიცხველიანება		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	გარე განათების ქსელი მოხმარებული ელექტროენერჯის ხარჯის ანაზღაურება	დაფინანსება ათას ლარში
	02 03 01 01		750.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	საფინანსო სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამისათვის გათვალისწინებული ასიგნებები ხმარდება კასპის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული განათების წერტილების (4800 ერთეული) მიერ მოხმარებული ელექტროენერჯის ხარჯების ანაზღაურებას.		
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	გარე განათების ქსელის ფუნქციონირების მიზნით მუნიციპალურ ბალანსზე არსებული განათების ქსელის მიერ მოხმარებული ელექტროენერჯის ხარჯის ანაზღაურება; ღამის საათებში ქ.კასპის და კასპის მუნიციპალიტეტის სოფლების მოსახლეობისთვის უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილების უზრუნველყოფა		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	გარე განათების ქსელის მოვლა-პატრონობა	დაფინანსება ათას ლარში
	02 03 01 02		136,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - კასპის კეთილმოწყობა		
ქვეპროგრამის აღწერა	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების ქსელი ფუნქციონირებს ქ. კასპის და 16 ადმინისტრაციულ ერთეულის ყველა ცენტრალურ მონაკვეთზე. ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული 4800 სანათი წერტილის მოვლა-პატრონობა, მათ შორის ქ. კასპში 2500 და სოფლებში 2300 წერტილი. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გარე განათების ქსელის გამართული ფუნქციონირებისათვის ხორციელდება მისი პერიოდული შეკეთება, რომელიც მოიცავს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ქსელში მწყობრიდან გამოსული ნათურების და განათებასთან დაკავშირებული სხვა მოწყობილობების (მრიცხველი, დაზიანებული ბოძი, ე.წ. დროსელი და სხვა) შეკეთება/გამოცვლას; ქვეპროგრამის ფარგლებში ასევე ფინანსდება 6 სამტატო ერთეულის ხელფასები.		



ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	მთელი წლის მანძილზე გარე განათების სისტემა ფუნქციონირებს გამართულად. პერიოდულად წარმოქმნილი შეფერხებები აღმოფხვრება დროულად. მუნიციპალიტეტში გარე განათების ქსელით მოცულა დასახლებული ტერიტორიების დაახლოებით 80%.
---	--

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ბაღებისა და სკვერების რეაბილიტაცია	დაფინანსება ათას ლარში
	02 06 01		378.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია კასპის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსება. გარდა აღნიშნული პროექტებისა, 2024 წლის განმავლობაში არსებული ფინანსური რესურსების ფარგლებში, კეთილმოწყობის ღონისძიებების ქვეპროგრამიდან შესაძლებელია განხორციელდეს სხვა ინფრასტრუქტურული პროექტები. ლოკაციების შერჩევა განხორციელდება მოსახლეობის მომართვიანობის გათვალისწინებით,		
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	ქვეპროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის იერსახის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით სკვერებისა და რეკრეაციული ზონების კეთილმოწყობა: ქვეპროგრამის ფარგლებში რეაბილიტირებული სკვერებით შეიქმნება კომფორტული და ჯანსაღი გარემო მუნიციპალიტეტის მაცხოვრებლებისა და სტუმრებისათვის.		

პროგრამის დასახელება	კოდი	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	დაფინანსება ათას ლარში
	02 07		1991.2
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	საფინანსო სამსახური		
პროგრამის აღწერა	<p>სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში კასპის მუნიციპალიტეტს გამოეყოფა სპეციალური ტრანსფერი, რომლის გაანგარიშებაც ხდება შემდეგი პრინციპით:</p> <p>ა) დასახლებას, რომელშიც მაცხოვრებელთა რაოდენობა შეადგენს არაუმეტეს 200 მაცხოვრებელს, გამოეყოფა 5 000 ლარი;</p> <p>ბ) დასახლებას, რომელშიც მაცხოვრებელთა რაოდენობა შეადგენს 201-დან 400 მაცხოვრებელს, გამოეყოფა 6 000 ლარი;</p> <p>გ) დასახლებას, რომელშიც მაცხოვრებელთა რაოდენობა შეადგენს 401-დან 1 000 მაცხოვრებელს, გამოეყოფა 8 000 ლარი;</p> <p>დ) დასახლებას, რომელშიც მაცხოვრებელთა რაოდენობა აღემატება 1 000 მაცხოვრებელს, გამოეყოფა 10 000 ლარი.</p> <p>დასახლებაში განსახორციელებელი პროექტის შერჩევა ხორციელდება შემდეგი წესით:</p> <p>ა) დასახლებაში, რომელშიც რეგისტრირებული ამომრჩევლის რაოდენობა შეადგენს არაუმეტეს 500 ამომრჩეველს, პროექტი შეირჩევა დასახლების საერთო კრებაზე, რომლის ჩატარებას უზრუნველყოფს შესაბამისი მუნიციპალიტეტის მერი;</p> <p>ბ) დასახლებაში, რომელშიც რეგისტრირებული ამომრჩევლის რაოდენობა შეადგენს 501-დან 1000 ამომრჩეველს, პროექტი შეირჩევა ამომრჩევლებთან კონსულტაციების გზით, რომელშიც მონაწილეობა უნდა მიიღოს არანაკლებ 100 ამომრჩეველმა;</p> <p>გ) დასახლებას, რომელშიც რეგისტრირებული ამომრჩევლის რაოდენობა აღემატება 1000 ამომრჩეველს, პროექტი შეირჩევა ამომრჩევლებთან კონსულტაციების გზით, რომელშიც მონაწილეობა უნდა მიიღოს არანაკლებ 200 ამომრჩეველმა.</p>		
	მოსახლეობის აქტიურობის გაზრდა, მოსახლეობის აზრის გათვალისწინება საკუთარი		



პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	დასახლების (სოფლის) პრობლემების გადაწყვეტაში; იმ მცირე პროექტების დაფინანსება, რომელთა პრიორიტეტულობასაც განსაზღვრავს კონკრეტული დასახლების (სოფლის) მოსახლეობის უმრავლესობა
--	--

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	საპროექტო სამუშაოებისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურების ხარჯები	დაფინანსება ათას ლარში
	02 09		1273.7
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა. ამასთან, იმ ხელშეკრულებებზე რომელთა ღირებულება არ აღემატება 50.0 ათას ლარს პროექტის შემდგენი ახორციელებს შესრულებული სამუშაოების ექსპერტიზას. ამ პროგრამის ფარგლებში ასევე ფინანსდება 50.0 ათას ლარზე მეტი თანხის ინფრასტრუქტურული პროექტების ტექნიკური ზედამხედველობის (საექსპერტო მომსახურების) სამუშაოების შესყიდვა.</p> <p>პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტებისათვის დროულად და კვალიფიციურად მოხდეს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა. ასევე, პროექტების განხორციელებისას ჩატარებული სამუშაოების ხარისხის უზრუნველყოფა მათზე მუდმივი ზედამხედველობის განხორციელების გზით. პროგრამის თანხების განკარგვა ხორციელდება რეგიონალურ დონეზე ჩატარებული კონსოლიდირებული ტენდერების საშუალებით.</p>		
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია დროულად და კვალიფიციურად მომზადდება; შესრულებული ინფრასტრუქტურული პროექტების მაღალი ხარისხი, ისე რომ იგი აკმაყოფილებდეს პროექტით განსაზღვრულ და ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სამშენებლო ნორმებს (სტანდერტებს)		

**მუხლი 14. დასუფთავება და გარემოს დაცვა**

დასუფთავება და გარემოს დაცვის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 3102.1 ათასი ლარი. დასუფთავება და გარემოს დაცვის პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2024 წლის გეგმა
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	3102.1
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	1921.1
03 02	მწვანე ნარგავების მოვლა პატრონობა, განვითარება	120,0
03 03	უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები	200,0
03 04	კაპიტალური დაბანდება დასუფთავების სფეროში	861,0

პროგრამის დასახელება	კოდი	დასუფთავება და ნარჩენების გატანას	დაფინანსება ათას ლარში
	03 01		1921.1



პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - კასპის კეთილმოწყობა
პროგრამის აღწერა	<p>პროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ კასპის კეთილმოწყობა ახორციელებს ქალაქსა და მუნიციპალიტეტში შემავალ ადმინისტრაციული ერთეულებიდან ნარჩენების მოგროვებას და გატანას, ზამთრის პერიოდში თოვლისგან გზების გაწმენდას, საჭიროების შემთხვევაში სანიაღვრე არხების გაწმენდას და ფორსმაჟორულ სიტუაციებში სხვა გადაუდებელი ღონისძიებების განხორციელებას. ნარჩენების გატანის ღონისძიებებს ემსახურება 12 ერთეული ავტომანქანა. ნარჩენების გატანა (კონტეინერების დაცლა) ხორციელდება ქალაქ კასპიდან და მუნიციპალიტეტის თითქმის ყველა სოფლიდან. შეგროვებული ნარჩენები გადის მიქელწყაროს მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე ნაგავსაყრელებზე. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჯამში განთავსებული კონტეინერების რაოდენობა შეადგენს 650 ერთეულს, მათ შორის, 380 განთავსებულია ქ. კასპში და 270 მუნიციპალიტეტის სოფლებში.</p> <p>-პროგრამის ფარგლებში შეძენილი იქნება ნარჩენებისთვის კონტეინერები, პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან ყოველწლიურად გადის დაახლოებით 7800 ტონა (31000 მ/კ) ნარჩენი, ზაფხულის სეზონზე საგრძნობლად იზრდება გატანილი ნარჩენის მოცულობა. პროგრამის ფარგლებში ხორციელდება 182018 მ<sup>2</sup> დასუფთავება.</p> <p>პროგრამისთვის გამოყოფილ ასიგნებები ასევე მოიცავს ა(ა)იპ - კასპის კეთილმოწყობის ადმინისტრაციულ ხარჯებს, მათ შორის, ხელშეკრულებით აყვანილ პერსონალის (მეზოოვები, მძღოლები, ზედამხედველები და სხვა) ხელფასებს.</p>
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	კასპის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიღწეული იქნება სისუფთავის და სანიტარული მდგომარეობის მაღალი დონე. მთელი წლის მანძილზე შეუფერხებლად განხორციელდება კასპის მუნიციპალიტეტის დასუფთავება და ქალაქიდან ნარჩენების გატანა; ზამთრის პერიოდში დროულად მოხდება დათოვლილი გზების გაწმენდა

პროგრამის დასახელება	კოდი	მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება	დაფინანსება ათას ლარში
	03 02		120,0
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - კასპის კეთილმოწყობა		
პროგრამის აღწერა	<p>პროგრამის ფარგლებში ხორციელდება ქ. კასპის ტერიტორიაზე არსებული 7 სკვერის და 10 გამწვანებული ტერიტორიის (ჯამში 17750 მ<sup>2</sup> მოვლა-პატრონობა. კერძოდ, სკვერებსა და გამწვანებულ ტერიტორიებზე ტარდება მწვანე ნარგავების მოვლისა და აღდგენის ღონისძიებები, ნარგავების დარგვა, მორწყვა, შეწამვლა და საჭიროების შემთხვევაში შხამ-ქიმიკატების შეტანა. საჭიროების შემთხვევაში, პროგრამის ფარგლებში, ასევე ფინანსდება სკვერებში დაზიანებული სკამების და სხვა ინვენტარის შეკეთება ან/დაგამოცვლის ღონისძიებები.</p> <p>პროგრამის ფარგლებში ასევე ხორციელდება 13 საშტატო ერთეულის ხელფასების დაფინანსება.</p>		
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	<p>ქ. კასპის ტერიტორიაზე არსებული სკვერების გაუმჯობესებული ვიზუალური მხარე; მუნიციპალიტეტის მოსახლეობის დასვენებისა და განთვირთვისათვის კომფორტული პირობების შექმნა;</p> <p>ქალაქისა ტერიტორიებზე დაირგვება ნარგავები; მოხდება მათი მორწყვა, შხამ- ქიმიკატების შეტანა და ნიადაგის გაფხვიერება</p>		

### მუხლი 15. განათლება

განათლების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 5351.4 ათასი ლარი. განათლების პიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2024 წლის გეგმა
04 00	განათლება	5351.4



04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ხელშეწყობა	4661.1
04 02	სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია მშენებლობა	15.0
04 03	ზოგადი განათლების (საჯარო სკოლების ხელშეწყობა)	675.3

პროგრამის დასახელება	კოდი	სკოლამდელი დაწესებულებების ხელშეწყობა	დაფინანსება ათას ლარში
	04 01		4661.1
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების გაერთიანება		
პროგრამის აღწერა	<p>საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მიხედვით ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის საკუთარ (ექსკლუზიურ) უფლებამოსილებას წარმოადგენს.</p> <p>შესაბამისად, მუნიციპალიტეტი ვალდებულია უზრუნველყოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის საჭირო ფინანსების გამოყოფა და ყველა სხვა ღონისძიების გატარება. დღეის მდგომარეობით კასპის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 28 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება (5 ბაღი ქ. კასპში და 23 ბაღი სოფლებში) სადაც სააღმზრდელო პროცესს გადის 1600-ზე მეტი ბავშვი. მუნიციპალიტეტში არსებული ბაღების რაოდენობა სრულად უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები საბავშვო ბაღის ასაკის ბავშვების მიღებას და შესაბამისი სააღმზრდელო პროცესის წარმართვას. ბაგა-ბაღებში ჯამში დასაქმებულია 480 თანამშრომელი.</p>		
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	<p>პროგრამის მიზანია: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები 2-დან 6 წლამდე ყველა ბავშვის უზრუნველყოფა საბავშვო ბაღის მომსახურებით, შესაბამისი სააღმზრდელო პროცესით;</p> <p>სკოლის ასაკს მიღწეული ბავშვები მზაობა დაწყებითი განათლების მიღებისათვის;</p> <p>პროგრამის მიზანს ასევე წარმოადგენს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში სააღმზრდელო პროცესის უზრუნველყოფა შესაბამისი პირობებით, მათ შორის: სააღმზრდელო დაწესებულებებში დაცული იქნება სახელმწიფოს მიერ დადგენილი სტანდარტების უმეტესობა, დაცული იქნება სანიტარული და ჰიგიენური, კვების ორგანიზებისა და კვების რაციონის ნორმები;</p>		

## მუხლი 16. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი

კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 6385,9 ათასი ლარი. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2024 წლის გეგმა
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	6385,9
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	2828,0
05 01 01	სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა	1760,0
05 01 01 03	სპორტის დაწესებულებების გაერთიანების ხელშეწყობა (ახალი)	1760,0
05 01 03	კაპიტალური დაბანდებები სპორტის სფეროში	1068,0
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	3342,5





05 02 01 05	კულტურისა და სახელოვნებო სკოლების გაერთიანების ხელშეწყობა (ახალი)	1488.0
05 02 01 06	ბიბლიოთეკებისა და მუზეუმების გაერთიანების ხელშეწყობა (ახალი)	1101.9
05 02 03	კაპიტალური დაბანდება კულტურის სფეროში	632.6
05 02 04	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	120.0
05 03	ახალგაზრდობის მხარდაჭერა და ღონისძიების ხარჯები	215.4

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სპორტის დაწესებულებების გაერთიანების ხელშეწყობა	დაფინანსება ათას ლარში
	05 01 01 03		1760.0

ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ კასპის მუნიციპალიტეტის სპორტის დაწესებულებების გაერთიანება
--------------------------------	---

ქვეპროგრამის აღწერა	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებები ხმარდება კასპის მუნიციპალიტეტში ბავშვთა ფეხბურთის განვითარებას. დაწესებულებაში ჯამში ვარჯიშობს 400-მდე აღსაზრდელი. სავარჯიშო პროცესი მიმდინარეობს 4 სპორტულ მოედანზე. დაწესებულების აღსაზრდელები წლის განმავლობაში მონაწილეობას რეგულარულად სხვადასხვა რეგიონალურ და სახელობით ტურნირებში. ქვეპროგრამის ფარგლებში ასევე ფინანსდება მწვრთნელების ხელფასები, კლუბის კომუნალური და სხვა გადასახადები, ტურნირებში მონაწილე გუნდების მგზავრობის, კვების, გუნდების ეკვიპირების, სამედიცინო და სხვა ხარჯები. დაწესებულებაში სამწვრთნელო პროცესი მიმდინარეობს ყოველდღიურად. დაწესებულებაში დასაქმებულია 47 ადამიანი. გაერთიანების აღსაზრდელები ზაფხულობით გადიან სპორტულ შეკრებას, მონაწილეობას ღებულობენ სპორტულ შეჯიბრებებში და ტურნირებში საქართველოს მასშტაბით. ქვეპროგრამა ხორციელდება ა(ა)იპ კასპის სპორტკომპლექსის ბაზაზე. სპორტკომპლექსის აერთიანებს 13 სპორტულ სახეობას, ესენია: თავისუფალი ჭიდაობა; ბერძნულ-რომაული ჭიდაობა, სამბო, ძიუდო, ქართული ჭიდაობა, კარატე, კინგ-ბოქსინგი, პანკრატიონი, კრივი, მაგიდის ჩოგბურთი, შაში, ჭადრაკი და კალათბურთი; სულ სპორტკომპლექსში შემოაღნიშნულ სპორტის სახეობებს ეუფლებიან 600-მდე ბავშვი, რომელთაც სამწვრთნელო პროცესი უტარდებათ კვირაში 3-ჯერ. სპორტკომპლექსში დასაქმებულია ჯამში 90 ადამიანი, მათ შორის, 60 ტექნიკური და ადმინისტრაციული პერსონალი და 30 მწვრთნელი. ცენტრის აღსაზრდელები მონაწილეობას ღებულობენ სპორტულ შეჯიბრებებში და ტურნირებში როგორც მუნიციპალიტეტის ასევე ქვეყნის მასშტაბით. სპორტკომპლექსის აღზრდილი სპორტსმენები (დაახლოებით 15 სპორტსმენი) ირიცხებიან საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში და წარმატებით მონაწილეობენ სხვადასხვა საერთაშორისო ტურნირებებსა და ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებში.</p> <p>პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია კასპის მუნიციპალიტეტის სახელით მოასპარეზე მაღალი სპორტული შედეგების მქონე სპორტსმენების და მათი მწვრთნელების წახალისების მიზნით ფულადი ჯილდოს გაცემა, გამარჯვებულ სპორტსმენებზე ფულადი ჯილდო გაიცემა შემდეგი ოდენობით:</p> <p>1. ოლიმპიურ სახეობებში მსოფლიო ჩემპიონატში გამარჯვებულებზე: ა) უფროსი ასაკი: I ადგილი 5000 ლარი; II ადგილი 3000 ლარი; III ადგილი 2000 ლარი. ბ) ახალგაზრდებში: I ადგილი 3000 ლარი; II ადგილი 2000 ლარი; III ადგილი 1000 ლარი. გ) ჭაბუკებში: I ადგილი 2000 ლარი; II ადგილი 1000 ლარი; III ადგილი 700 ლარი.</p> <p>2. ოლიმპიურ სახეობებში ევროპის ჩემპიონატში გამარჯვებულებზე: ა) უფროსი ასაკი: I ადგილი 3000 ლარი; II ადგილი 2000 ლარი; III ადგილი 1500 ლარი. ბ) ახალგაზრდებში: I ადგილი 2000 ლარი; II ადგილი 1000 ლარი; III ადგილი 700 ლარი. გ) ჭაბუკებში: I ადგილი 1500 ლარი; II ადგილი 1000 ლარი; III ადგილი 500 ლარი. 3. არაოლიმპიურ სახეობებში ევროპის ჩემპიონატში გამარჯვებულებზე: ა) უფროსი ასაკი: I ადგილი 2000 ლარი; II ადგილი 1500 ლარი; III ადგილი 1000 ლარი. ბ) ახალგაზრდებში: I ადგილი 1500 ლარი; II ადგილი 1000 ლარი; III ადგილი 500 ლარი. გ) ჭაბუკებში: I ადგილი 1000 ლარი; II ადგილი 500 ლარი; III ადგილი 300 ლარი. 4. არაოლიმპიურ სახეობებში მსოფლიო ჩემპიონატში გამარჯვებულებზე: ა) უფროსი ასაკი: I ადგილი 2500 ლარი; II ადგილი 2000 ლარი; III ადგილი 1000 ლარი. ბ) ახალგაზრდებში: I ადგილი 2000 ლარი; II ადგილი 1500 ლარი; III ადგილი 1000 ლარი. გ) ჭაბუკებში: I ადგილი 1500 ლარი; II ადგილი 700 ლარი; III ადგილი 500 ლარი. 5. საქართველოს ჩემპიონატში გამარჯვებულებზე ა) უფროსი ასაკი: I ადგილი 1500 ლარი; II ადგილი 1000 ლარი; III ადგილი 700 ლარი. ბ) ახალგაზრდებში: I ადგილი 1000 ლარი; II ადგილი 700 ლარი; III ადგილი 500 ლარი. გ) ჭაბუკებში: I ადგილი 700 ლარი; II ადგილი 500 ლარი; III ადგილი 300 ლარი. 6. საქართველოს ფალავნობა-ფალავანი 5000 ლარი. 7. ოლიმპიური თამაშები: I ადგილი 10000 ლარი; II ადგილი 7000 ლარი; III ადგილი 5000 ლარი.</p> <p>გამარჯვებული სპორტსმენის მწვრთნელს გადაეცემა ფულადი ჯილდო, სპორტსმენზე გათვალისწინებული სრული ფულადი ჯილდოს 50%-ის ოდენობით.</p>
---------------------	--



	ფულადი ჯილდო გადაეცემათ მხოლოდ იმ მწვრთნელებს, რომლებიც სასწავლო-საწვრთნელ საქმიანობას ახორციელებენ კასპის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ სპორტულ დაწესებულებებში და რომელთა მიერ მომზადებულმა კასპის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულმა სპორტსმენმა დაიკავეს საპრიზო ადგილები.
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	ქვეპროგრამის მიზანია: - ხელი შეუწყოს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას; - მეტი მოზარდის ჩართვა სპორტში; - მუნიციპალიტეტის ახალგაზრდა თაობაში ფეხბურთის პოპულარიზაცია. მოსალოდნელი შედეგი: წლიდან წლამდე ფეხბურთის ვარჯიშებით დაკავებული ბავშვების გაზრდილი რაოდენობა

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	კულტურის და სახელოვნებო სკოლების დაწესებულებების გაერთიანების ხელშეწყობა	დაფინანსება ათას ლარში
	05 02 01 05		1488.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ - კასპის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებების გაერთიანება		
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამა ხორციელდება კულტურის დაწესებულებების გაერთიანების ბაზაზე, რომელიც აერთიანებს კულტურის ცენტრს ქ. კასპში, კულტურის სახლის ს. ქვემო ჭალაში და 16 სასოფლო კლუბს. გაერთიანებაში ფუნქციონირებს ქორეოგრაფიული, ბალეტის, ტავარჯიშის, სამეჯლისო სპორტული ცეკვების, ხალხური საკრავების შემსწავლელი, საესტრადო და ქართული ხალხური სიმღერების, გიტარის და ხატვის წრეები. ჯამში დაწესებულების მომსახურებით სარგებლობს კასპის მუნიციპალიტეტში მცხოვრები 1000-მდე ახალგაზრდა. გაერთიანებაში დასაქმებულთა რაოდენობა შეადგენს 78 თანამშრომელს. წლის განმავლობაში გაერთიანება მნიშვნელოვან (საიუბილეო) თარიღებზე აწყობს სხვადასხვა სახის ღონისძიებებს. ყოველწლიურად ტარდება ქართულური სიმღერისა და გალობის ტრადიციული ფესტივალი „ქართლი“, ასევე ყოველწლიურად ტარდება ფერების ფესტივალი და ეროვნული სამოსის დღე. გაერთიანების აღსაზრდელები მონაწილეობას ღებულობენ სხვადასხვა სახის კონკურსებსა და ფესტივალებში როგორც მუნიციპალიტეტის ასევე ქვეყნის მასშტაბით.		
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	კასპის მუნიციპალიტეტის მოზარდი თაობისათვის ქორეოგრაფიის, ბალეტის, ტავარჯიშის, სამეჯლისო სპორტული ცეკვების და ხელოვნების სხვა სახეობების შესწავლა. შემოქმედებით ცხოვრებაში მოსახლეობის ფართო ფენების ჩართულობა, მოსახლეობაში ტრადიციული კულტურის პოპულარიზაცია და მათი შემოქმედებითი უნარების განვითარება; გაერთიანებაში არსებულ წრეებზე სწავლის მსურველთა მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილებული. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი სამუსიკო სკოლები და მოსაწავლე-ახალგაზრდობის სახლი წლის განმავლობაში ფუნქციონირებს შეუფერხებლად. სრულად არის დაკმაყოფილებული სამხატვრო და სამუსიკო განათლებაზე მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვებისა და მოზარდების მოთხოვნა. სკოლების აღსაზრდელები მონაწილეობენ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჩატარებულ კულტურულ ღონისძიებებში, ასევე ქვეყნის მასშტაბით ჩატარებულ კონკურსებსა და ფესტივალებში		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ბიბლიოთეკების და მუზეუმების გაერთიანების ხელშეწყობა	დაფინანსება ათას ლარში
	05 02 01 06		1101.9
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ - კასპის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკების გაერთიანება		
